პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

6 მარტი
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 46 (2151)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი სპორტული ღირსების შესახებ

ამ დღეებში საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შედგა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ მოწვეული თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ საკავშირო სპორტული ფედერაციების თავმჯდომარეები და პასუხისმგებელი მდივნები, ნაკრები გუნდების მწვრთნელები, კაპიტნები და კომორგები, რიგი რესპუბლიკებისა და ოლქების კომკავშირული მუშაკები, აგრეთვე ზოგიერთი ფიზკულტურული უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები. თათბირზე სერიოზული და პრინციპული ლაპარაკი იყო სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის განმტკიცების შესახებ სსრკ ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში და მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. დ. მაშინი. მან ილაპარაკა იმ მთავარ ამოცანებზე, რომლებიც ახლა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრების წინაშე დგას — სპორტული ოსტატობის ამაღლებისა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საჭიროების შესახებ.

რეკორდების არსებული დონისა და იმ წარმატებათა პირობებში, რომელსაც ახლა სპორტმა მიაღწია, საერთაშორისო შეჯიბრებებზე წარმატებით გამოსვლისათვის საჭიროა შეუპოვრად მუშაობა და წვრთნისას დიდი ფიზიკური დატვირთვების თამამად გამოყენება. წვრთნისადმი ასეთი დამოკიდებულების გამომუშავება შეიძლება კარგად მოწყობილი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად და იმ დროს, როცა სპორტსმენები მთელი შეგნებით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით არიან გამსჭვალული სამშობლოს წინაშე, თავისი ხალხის წინაშე, რომლებმაც ყველა პირობა შეუქმნა მათ სპორტული დაოსტატებისათვის. ამ მხრივ ფასდაუდებელია კომკავშირული კომიტეტების როლი, რომლებიც ყოველდღიურ კავშირში უნდა იყვნენ ნაკრები გუნდების წევრებთან, უნდა აკონტროლებდნენ მათ სპორტულ საქმიანობას — სპორტსმენებს წარმატებათაგან თავბრუდახვევის გამოვლინების საშუალებას არ უნდა აძლევდნენ, ხოლო მარცხის დროს კი ამხნევებდნენ. დიდი სტარტების წინ კი მეგობრული, კომკავშირული გზის დალოცვა ტრადიციად უნდა გადაიქცეს.

აუცილებელია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების ყველა წევრი იყოს მაღალიდეური და შეგნებული ადამიანი. ერთ-ერთი სწორი გზა ამისკენ სპორტსმენთა საერთო განათლების დონის ამაღლებაა.

აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო არანაკლები პრეტენზიების წაყენება შეიძლება მწვრთნელების მიმართაც. ნაკრები გუნდების წევრთა მიერ არასპორტული საქციელის ზოგიერთი შემთხვევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ხდება სპორტსმენის — პიროვნების ფორმირებისადმი უყურადღებობის გამო, და კიდევ იმის გამო, რომ მწვრთნელებსა და ფიზკულტურულ ხელმძღვანელებს აკლიათ სათანადო მომთხოვნელობა და პედაგოგიური ოსტატობა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელში ჩვენ ახლა უპირველესად ყოვლისა ვხედავთ მაღალგანვითარებულ სპეციალისტ-ნოვატორს, მოქნილ აღმზრდელს, რომელიც ახალგაზრდობასთან მუშაობაში ხელმძღვანელობს პარტიული პრინციპებით. პირუთვნელი კრიტიკა, სპორტსმენებთან დამოკიდებულებაში მეცენატობაზე უარის თქმა, აი აღმზრდელობით მუშაობაში წარმატების საფუძველი.

დაიწყო კამათი. ტრიბუნაზე ერთი მეორეს ცვლიან ადამიანები, რომელთა სახელებს იცნობს მთელი მსოფლიო. მგზნებარედ ლაპარაკობს სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსანთა ნაკრების კაპიტანი იური ვლასოვი. იგი თავის გამოსვლას იწყებს სიტყვებით: „მე ძალზე გულახდილი ვიქნები“,—და, უნდა ითქვას, რომ არამარტო ვლასოვი, არამედ ყველა, შეუნიღბავი კრიტიკით გამოვიდა. და სწორედ ეს გულახდილობა იყო თათბირის ნაყოფიერი მუშაობის საფუძველი.

ვლასოვი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სპორტსმენი ავლენს ისეთ თვისებებს, რომლებიც პირდაპირ შეუთავსებელია საერთოდ საბჭოთა ადამიანის სახელთან: ინდივიდუალიზმი, ყოყოჩობა, ანგარება.

მაგრამ ჩვენში თუ ჯერ კიდევ გვხვდებიან ამგვარი „ინდივიდუმები“, ამაში დანაშაულის დიდი სიმძიმე მწვრთნელებსაც აწევთ. ვლასოვიცა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ი. ალექსეევიც ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ცოტაა აღიჭურვო წვრთნის მეთოდიკით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მწვრთნელი პედაგოგიური ჩვევების გარეშე გადაიქცევა მხოლოდ და მხოლოდ რაღაც „სპეცად“ (თუ აღარას ვიტყვით სპორტული დაოსტატების იმ დიდ რეზერვზე, რომელიც იმალება პედაგოგიური მეცნიერების მოქნილ გამოყენებაში).

მოფარიკავეთა ნაკრების კომორგმა გალინა გოროხოვამ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ კომორგების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ბევრი ფორმალიზმი. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ნაკრების ცხოვრების პრინციპულ საკითხებზე კომორგის აზრი სპორტულ ხელმძღვანელებს არ აინტერესებთ. ამასთან დაკავშირებით თათბირზე მრავალმა ამხანაგმა წამოაყენა წინადადება, რომ კომორგები და კაპიტნები შეყვანილ იქნენ მწვრთნელთა საბჭოების შემადგენლობაში, რომ მათაც მიიღონ ხოლმე მონაწილეობა ნაკრები გუნდების დაკომპლექტებაში.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ხუთჭიდელმა იგორ ნოვიკოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა სპორტში თაობიდან თაობაში გამოცდილების გადაცემის საკითხს. თვითეული სპორტსმენი ვალდებულია აღზარდოს მისი შემცვლელი თაობა, იფიქროს ჩვენი სპორტის მომავალზე. და ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ მოზარდთა სპორტსკოლის ხელმძღვანელის, ნოვიკოვის მიერ გაზიარებულმა გამოცდილებამ თათბირზე დიდი მხარდაჭერა ჰპოვა.

ბევრს ელიან სპორტსმენები და მწვრთნელები ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრალური ინსტიტუტისაგან, ფიზკულტურული უმაღლესი სასწავლებლებისაგან. იქ იცავენ ათეულობით დისერტაციებს, მაგრამ პრაქტიკულ რჩევებს სპორტული მეცნიერება ძალზე ცოტას იძლევა. კამათში გამოსულებმა გააკრიტიკეს აგრეთვე ცალკეული ფედერაციები, რომლებიც ხშირად აწყობენ სხდომებს, მაგრამ იშვიათად ახდენენ ცხოველმყოფელ გავლენას სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებაზე. აღმზრდელობითი მუშაობის საერთო სისტემაში ჯერ კიდევ სათანადო ადგილი ვერ დაიკავა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პროპაგანდის განყოფილებამ. ჩვენი გაზეთები და ჟურნალები ხშირად ძალზე გადაჭარბებულად აქებენ სპორტსმენებს.

თათბირმა მწვავედ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ თითქოს ჩვენს ქვეყანაში სპორტსმენები შეუცვლელნი არიან. ის, ვინც თავის თავს უპირისპირებს კოლექტივს, ვინც არ იმაღლებს თავის საერთო განმანათლებლურ დონეს, სჩადის ამორალურ საქციელს, ის ჩვენს სპორტს არ სჭირდება.

თათბირის დასასრულს სიტყვით გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. პ. პავლოვი.

„კომსომოლსკაია პრავდა“
1963 წ. 2 მარტი.

„იმედის თასი“

წელს საფუძველი ჩაეყრება ახალ საინტერესო ტრადიციულ შეჯიბრებას ფეხბურთში. ესაა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზი მოზარდ ფეხბურთელთათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. გარდამავალ პრიზს ეწოდა „იმედის თასი“ და მისი გათამაშების ფინალი უნდა მოხდეს 29 ოქტომბერს— ლენინური კომკავშირის შექმნის დღეს.

წლევანდელ ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 1942-44 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც არ თამაშობენ ოსტატთა კოლექტივებში. გათამაშების მონაწილენი დაყოფილი არიან 4 ტერიტორიულ ზონად, სადაც მატჩები ჩატარდება 2 წრედ. ზონალურ შეხვედრებში გამარჯვებული 4 გუნდი ერთმანეთს შორის ჩაატარებს ტურნირს პირველ-მეორე ადგილების გამოსავლენად, ხოლო პირველ შეხვედრებში დამარცხებულნი ითამაშებენ მესამე-მეოთხე ადგილებისათვის.

მოგვყავს გათამაშების კალენდარი ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის.

19 მაისი. საქართველო — აზერბაიჯანი.

26 მაისი. რსფსრ—საქართველო.

14 ივლისი. სომხეთი — საქართველო.

21 ივლისი. აზერბაიჯანი — საქართველო.

15 სექტემბერი. საქართველო — რსფსრ.

22 სექტემბერი. საქართველო — სომხეთი.

მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატი“

როგორც ცნობილია, წელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მოეწყობა მსოფლიოს მორიგი პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ღონისძიებას წინ უსწრებს მრავალი საერთაშორისო შეხვედრა უძლიერესთა გუნდების მონაწილეობით (სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა საბჭოთა მოჭიდავეების ვიზიტი იაპონიაში) და სხვადასხვა სახის ტურნირები.

ერთ-ერთი ასეთი ტურნირი, რომელიც თავისი შემადგენლობით არ ჩამოუვარდება მსოფლიო პირველობას, გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში 22-24 მარტს.

მსოფლიოს ამ „მცირე ჩემპიონატში“ გამოვლენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, ფინეთის, შვეციის, ირანის, თურქეთის, იაპონიისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭიდავეები.

როგორც ტურნირის მონაწილეთა ამ უბრალო ჩამოთვლიდან ჩანს, თბილისში თავს მოიყრის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

7 მარტი — „იოჰანესჰოვი“

სტოკჰოლმში „იოჰანესჰოვის“ სტადიონზე 7 მარტს იხსნება მსოფლიოს XXIX ჩემპიონატი ჰოკეიში, მსოფლიო ჩემპიონატთან ერთად აქ გათამაშდება ევროპის პირველობაც.

ჰოკეიმ საბჭოთა კავშირში მხოლოდ 16 წლის წინათ მიიღო აღიარება. პირველმა საერთაშორისო მატჩებმა დაგვანახა, რომ ჩვენი ახალბედები სათანადო მეტოქეობას უწევდნენ მსოფლიოს ცნობილ და უძლიერეს ჰოკეისტებს. 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ჰოკეისტთა დებიუტმა კი სენსაცია გამოიწვია — კანადის ნაკრებთან გადამწყვეტი მატჩის მოგებით (7 : 2) საბჭოთა ჰოკეისტებმა მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულები მოიპოვეს.

ყოველი ჩემპიონატის წინ დგება ხოლმე ერთი მთავარი საკითხი: ვინ გაიმარჯვებს? და ყოველთვის ყველა ფიქრობს, რომ გამარჯვებულთა სახელები უნდა ვეძებოთ „დიდ ოთხეულში“ — კანადის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის. საერთოდ ამ სიას მეხუთე ქვეყანაც (აშშ) უერთდება ხოლმე, მაგრამ წელს ამერიკელთა ნაკრები ძალზე სუსტად გამოიყურება.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჰოკეიში ჩატარდა 1924 წელს. აი როგორ გამოიყურება მსოფლიოს ჩემპიონთა სია: **კანადა** — 1924, 1928, 1930, 1931, 1932, 1934, 1935, 1937, 1938, 1939, 1948, 1950, 1951, 1952, 1955, 1958, 1959, 1961 წლები; **შვეცია** — 1953, 1957, 1962 წლები; **საბჭოთა კავშირი** — 1954 და 1956 წლები; **აშშ** — 1933 და 1960 წლები; **ჩეხოსლოვაკია** — 1947 და 1949 წლები; **ინგლისი** — 1936 წელი.

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც აშშ-ს ქალაქ კოლორადო-სპრინგსში ჩატარდა, სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, რადგანაც აქ **გდრ**-ს გუნდის მიმართ დისკრიმინაციული ზომები მიიღეს და ჩემპიონატზე არ დაუშვეს. პროტესტის ნიშნად კი ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებს.

სტოკჰოლმში კანადელები წარმოდგენილი იქნებიან მოსკოველთათვის ნაცნობი, საკმაოდ ძლიერი გუნდით — „ტრეილ სმოუკ იტერსით“. ეს გუნდი გაძლიერებულია სხვა კლუბების მოთამაშეებითაც. კანადელთა მწვრთნელი ბობ კრომი თვლის, რომ მისი აღზრდილები შეძლებენ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის სპორტსმენთა დამარცხებას. მაგრამ სხვა კანადელი სპეციალისტები კი ფიქრობენ, რომ ახლანდელი ნაკრები ყველაზე სუსტია იმ გუნდებიდან, რომლებიც მათ წინა ჩემპიონატებზე ჰყავდათ წარმოდგენილი.

* * *

სურათზე: საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში.

მთავარია ჯანმრთელობა!

რა ვუყოთ მათ?

უამრავი მაგალითი გვაქვს სამკურნალო ფიზკულტურის გამაჯანსაღებელი საშუალებების დადებითი გამოცდილების შესახებ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისათვის. შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს ლუჟნიკების სპორტული კომბინატის ხელმძღვანელობის ინიციატივა, რომლებმაც საქმით დაგვანახეს, თუ რა სიკეთე მოაქვს ათეულ ათასობით ადამიანებისათვის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას. ანალოგიური მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს ლენინგრადში, თბილისში, კიევში, ბაქოში, სევეროდონეცკსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

როგორაა საქმე აფხაზეთში? რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზ-აღზრდისა და სპორტის კათედრის კარგ წამოწყებაზე, რომელიც ჯერ პირველ, მაგრამ საკმაოდ გაბედულ ნაბიჯებს დგამს ამ დიდსა და სასარგებლო საქმეში.

აქ მუშაობს ტურიზმის სექცია, რომელსაც მასწავლებელი ა. წიქარიძე ხელმძღვანელობს. 20-ზე მეტი ლაშქრობა და შორეული ექსპედიცია მოაწყეს გასულ წელს სექციის აქტივისტებმა. ამ ლაშქრობებში მონაწილეობდა ინსტიტუტის ასობით სტუდენტი და მასწავლებელი. ზაფხულში ავადხარას ხეობაში მოწყობილ იქნა 20-დღიანი გამაჯანსაღებელი ბანაკი, რომელსაც კათედრის დოცენტი ო. ვახანია ხელმძღვანელობდა. სტუდენტური საერთო საცხოვრებლის დღის რეჟიმშია დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რომელსაც ატარებენ კათედრის მასწავლებლები გ. კიკვაძე, ტ. შუბლაძე, რ. ელერდაშვილი და სხვები.

იყო გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარების ცალკეული ცდები ტყვარჩელის ზოგიერთ ორგანიზაციაში, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, საგალანტერეო ფაბრიკაში, ავტოსატრანსპორტო კანტორაში, „გიპროგორსტროიში", კავშირგაბმულობის საოლქო განყოფილებასა და სხვა ორგანიზაციებში. აქ ეწყობოდა მეცადინეობები საწარმოო ტანვარჯიშში, ტარდებოდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში და სხვა ღონისძიებები, მაგრამ უკანასკნელ დროს ბევრ ამ დაწესებულებაში მეცადინეობა შეწყდა.

მხოლოდ რესპუბლიკურ საექიმო ფიზკულტურულ დისპანსერში (მთავარი ექიმი აფხაზეთის ასსრ დამსახურებული ექიმი გ. შპაკოვსკი) უკვე მესამე წელია რეგულარულად მეცადინეობენ სამკურნალო ფიზკულტურაში უფროსი ასაკის ადამიანების ჯგუფთან. კარგად მოწყობილი კაბინეტის უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს დამატებით ჩავაბათ ადამიანები ამ წრის მეცადინეობაში. აი ყველაფერი, რის გაკეთებაც შეძლეს ცალკეულმა ორგანიზაციებმა აფხაზეთში გამაჯანსაღებელი მუშაობის ხაზით.

მაგრამ აფხაზეთის კლიმატური და სხვა პირობები მთლიანად არ არის გამოყენებული მშრომელთა გაჯანსაღების საქმის სამსახურში. სპორტსაზოგადოებები და საბავშვო სპორტული სკოლები ძირითადად სპორტსმენ-თანრიგოსნებს ამზადებენ. მაგრამ რომ ჰკითხოთ მათ, თუ სად შეიძლება აფხაზეთში ცურვის შესწავლა, ვერაფერს გიპასუხებენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია! ისეთი სპორტული საზოგადოებებიც კი, როგორიცაა „ლოკომოტივი" და „ხიმიკი", რომლებსაც თავიანთი საწყლოსნო სადგურები გააჩნიათ, თავიანთ წევრებს ცურვას არ ასწავლიან. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

სხვადასხვა სექციებში ღებულობენ მხოლოდ იმათ, ვინც იცის ცურვა, ვისაც სპორტული ჩვევები აქვს და ვისაც კარგი ჯანმრთელობა გააჩნია. ასეთი გოგონებისა და ჭაბუკებისაგან უფრო ადვილია და უფრო სწრაფადაც მომზადდება სპორტსმენი თანრიგოსანი. მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენებს? ისინი ხომ უმრავლესობას წარმოადგენენ — ადამიანები, რომლებმაც არ იციან ცურვა, სუსტი ჯანმრთელობის ან ასაკგადაცილებულნი არიან?

გასულ წელს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, და განსაკუთრებით კი საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებს შორის. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მუშაობის ეს უბანი უნდა გახდეს სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების უმნიშვნელოვანესი საქმე. დროა ამ დადგენილების განხორციელებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ხ. დევიძე



◆

საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებთან მომუშავე ზოგადგამაჯანსაღებელი ჯგუფები თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც თანდათან მრავლდება ჩვენს რესპუბლიკაში და თავის ორბიტში უფრო და უფრო მეტ ადამიანს იზიდავს, გაიზარდა საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა რიცხვიც. მას შემდეგ, რაც ამ წამოწყებებმა თავიანთი გემო აგემეს პირველდამწყებთ, რაც ნათელი გახდა მათი დადებითი გავლენა ორგანიზმზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, ვარჯიშებში ჩაბმის მსურველთა რაოდენობამ ბევრგან უკვე ზღვარს გადააჭარბა.

ეს სურათები, რომლებ ც რედაქციას ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. სემიონოვმა გამოუგზავნა, სწორედ სოხუმში მოქმედი ამგვარი ჯგუფების საქმიანობაზე მოგვითხრობს. **ზედა სურათზე** აღბეჭდილია სამკურნალო ფიზკულტურაში მეცადინეობის მომენტი. **მეორე სურათი** მოგვითხრობს პანსიონატის „მკვიდრთა" დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე. **ქვედა სურათი** გადაღებულია სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის ეზოში — მძღოლები, მექანიკოსები, ზეინკლები გულმოდგინედ ატარებენ ფიზკულტპაუზას.

◆

მისაბაძი წამოწყება

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობით, სპორტსმენთა მაღალი ოსტატობით, კარგი სპორტული ტრადიციებით თბილისი ცნობილია მთელს ჩვენს ქვეყანაში. ყველაზე ადრე სწორედ აქ განხორციელდა ღონისძიებათა რამდენიმე ტურად გამართვის სისტემა და მტკიცედ დამკვიდრდა საქალაქო პირველობათა თანამედროვე კალენდარში. თბილისელთა კარგ ტრადიციებზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი გამარჯვებანი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საკმარისია აღვნიშნოთ ის, რომ ახლა ამ ქალაქში 672 ოსტატი და 3.473 პირველთანრიგოსანია. მარტო გასულ წელს მომზადდა 22 ათასი თანრიგოსანი. სწორედ ამ მაჩვენებლებისათვის იყო, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ თბილისის საქალაქო სპორტკავშირი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ქალაქში სათანადო ყურადღება ეთმობა საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებთან მუშაობის საქმესაც. შარშან ამ საკითხს ქალაქის სპორტკავშირის სპეციალური პლენუმი მიეძღვნა, სადაც აღინიშნა არსებული მიღწევები, მაგრამ სააშკარაოზე იქნა გამოტანილი ხარვეზებიც. ქალაქის 24 ათასამდე მცხოვრებია ჩაბმული საერთო ფიზმომზადების ჯგუფების მუშაობაში. ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან აბრეშუმის ფაბრიკის, ფეხსაცმლის №1 ფაბრიკისა და სხვათა კოლექტივები. მთელ რიგ საწარმოებში დამაკმაყოფილებელ დონეზეა საწარმოო ტანვარჯიშიც, რომელსაც ამჟამად 63 ათასამდე ადამიანი მისდევს.

ქალაქში ფართოდ მოიკიდა ფეხი ტურიზმმა, განსაკუთრებით გასვლამ კვირაობით. ქალაქის სპორტულ ბაზებზე ნაყოფიერად მუშაობენ გამაჯანსაღებელი ჯგუფები. მარტო სანაპიროზე მდებარე აუზში გასულ წელს გვიან შემოდგომამდე მოქმედ 20 ჯგუფში 29 წარმოება-დაწესებულების თანამშრომლები იკაჟებდნენ ორგანიზმს.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის, კერძოდ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გამართვის საუკეთესო მაგალითია მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" საქმიანობა. ეს კოლექტივი არაერთხელ დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით.

მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ კოლექტივებით და აღნიშნული მაგალითებით ამოიწურება დადებითი ფაქტები საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ზრუნვის შესახებ. ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა კოლექტივები არ ზრუნავენ ამ ასაკის ადამიანების ფიზკულტურასა და სპორტში მიზიდვისათვის. ზოგნი ფიქრობენ, რომ ხანშესულები არ გამოდგებიან სპორტული შეჯიბრებებისათვის, მათს ხარჯზე არ სრულდება თანრიგოსანთა მომზადების გეგმები და ამიტომ მთლიანად უგულებელყოფენ მათთან მუშაობას. მხოლოდ ნადირობის, თევზჭერის, ტურიზმის, ჭადრაკის ან შაშის სექციები საქმეს არ შველის. საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებს სხვა სახეობებში მეცადინეობის სურვილიც აქვთ და ზოგჯერ ტოლს არ დაუდებენ ახალგაზრდებსაც.

ცხადია, ზოგადგამაჯანსაღებელი ჯგუფების მუშაობა ნაკლებ პროდუქტიულია სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებაში, მაგრამ მას ხომ არანაკლებ საჭირო მხარეც აქვს: იგი ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

თბილისი 113 ათას ფიზკულტურელს ითვლის და ამ რიცხვის ზრდა შემდგომში საგრძნობლად გაჭირდება, თუ სექციებში უფრო მეტი რაოდენობით არ იქნა მიზიდული საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები. მაგალითისათვის ავიღოთ „თბილწყალსადენის" სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივი, სადაც თანამშრომელთა ნახევარი 45 წლის ასაკზე უფროსია. თუ ფიზსაბჭოს თავმჯდომარეს ა. ახვერდოვს დავუჯერებთ, ამგვარი ასაკი არ იძლევა ფიზკულტურელთა რიგების ზრდის საშუალებას. ეს კოლექტივი მოწინავედ ითვლება „სპარტაკის" ორგანიზაციებს შორის, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეთა 40 პროცენტი მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს, ე. ი. მთელი ახალგაზრდობა, მაგრამ განა ეს კმარა? რა ვუყოთ მათ, ვინც ვეღარ მიეკუთვნება ახალგაზრდობის კატეგორიას?

სპორტში საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა მიზიდვის საქმეში კარგი ღონისძიება წამოიწყო „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ. აქ დაამუშავეს სპორტღონისძიებათა კალენდრის სპეციალური დამატება, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ პირველობებს ფრენბურთში, ცურვაში, ჩოგბურთში და ზოგიერთ სხვა სახეობაში საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გუნდებს შორის. ამ ღონისძიების მიხედვით მიმდინარე წელს კოლექტივებს შორის გამართულ შეჯიბრებებზე ძირითად გუნდებთან ერთად ცალკეულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყვანონ „მოხუცთა" გუნდებიც და, ცხადია, შედეგების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მათი მაჩვენებლებიც. ჩვენის აზრით, ეს მისაბაძი წამოწყებაა და იგი კარგ შედეგს გამოიღებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის საქალაქო სპორტკავშირი, რომელიც ბევრი წამოწყების ინიციატორია, არც ახლა დარჩება განზე და სპორტღონისძიებათა კალენდარში შეიტანს შეჯიბრებებს „მოხუცებისათვის".

დ. სმოლინი,
სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პასუხისმგებელი ორგანიზატორი.

პირველი მოჭადრაკის სახელისათვის

★

საქართველოს 1963 წლის პირველობა ჭადრაკში

★

VIII ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა შიშოვისა და კირვალიძის შეხვედრა. აფხაზეთის ჩემპიონმა გამოიყენა ფრანგული დაცვის მივიწყებული ვარიანტი. სხვადასხვა მხარეს როქის შემდეგ ოსტატმა დაასწრო იერიში. აი როგორ წარიმართა პარტია:

ვ. შიშოვი-ა. კირვალიძე

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 მf6 4. კg5 კe7 5. e5 მe4 6. მ:e4 კ:g5 7. მ:g5 ლ:g5 8. მf3 ლe7 9. c3 კd7 10. კd3 მc6 11. a4 f6 12. ლe2 0—0—0 13. კb5 მb8 14. 0—0 კe8 15. კ:e8 ეd:e8 16. b4 მd7 17. a5 fe 18. a6 b6 19. de c6 20. მd4 მb8 21. f4 ეhf8 22. ეab1 b5 23. ეa1 ლc7 24. ლg4 g6 25. ლh3 ლe7 26. ლc3 ლc7 27. ეf2 მd7 28. ლh3 ლb6 29. მ:e6 ე:e6 30. ლ:e6 ე:f4 31. ეaf1 ეe4 32. ლg8+ მფc7 33. e6 შავები დანებდნენ.

უკვე მე-20 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ ჰანტურია და იზვოზჩიკოვი, ვინაიდან პოზიცია მალე განიმუხტა.

მაყურებლებს მთელი საღამოს მანძილზე თვალი არ მოუშორებიათ გურგენიძისა და გაფრინდაშვილის პარტიებისათვის. კიკიანი კარგად იცნობს სიცილიურ დაცვას. ამიტომ გურგენიძემ ნაკლებად პოპულარული სისტემა გაითამაშა. კიკიანმა დაიწყო დამაკმაყოფილებელი თამაში, მაგრამ დააყოვნა 13... c5 და ოსტატი პაიკის შეწირვით დაეუფლა საკონტროლო უჯრებს. ამან მას საშუალება მისცა წამოეწყო იერიში კიკიანის მეფეზე. ლაზიერის, ეტლისა და კუს კოორდინირებული მოქმედებით გურგენიძემ პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

ბ. გურგენიძე-თ. კიკიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. მc3 a6 6. მ:c6 bc 7. კd3 e5 8. 0—0 მf6 9. b3 d6 10. კb2 კe7 11. მa4 0—0 12. c4 ლc7 13. ეe1 მh7 14. c5 მ:c5 15. მ:c5 dc 16. ლh5 f6 17. კc4+ მფh8 18. f4 კd6 19. f5 ეd8 20. ეe3 h6 21. ეg3 კf8 22. კc1 g5 23. fg ლg7 24. კe3 a5 25. ეf1 კa6 26. კ:a6 ე:a6 27. ეgf3 ეd6 28. კ:c5 ეe6 29. კ:f8 ლ:f8 30. g7+ ლ:g7 31. ეg3 შავები დანებდნენ.

ესპანური პარტიით დაიწყო გაფრინდაშვილისა და ჯანოევის შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონი საბრძოლოდ იყო განწყობილი. მან გრძელი როქი გააკეთა, ჩაკეტა ცენტრი და განემზადა შავების მეფის დასალაშქრავად. ჯანოევი ფხიზლობდა. მას არ ჰქონდა კონტრთამაშის გზები. ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება აეგო მიუვალი პოზიცია.

— ნონა უკვე პაიკს სწირავს, — ამბობს ტურნირის მთავარი მსაჯი, ქართული ჭადრაკის ვეტერანი ა. ფალავანდიშვილი.

არ გასულა რამდენიმე წუთი და გაფრინდაშვილმა მხედარი შესთავაზა ჯანოევს. მაგრამ ჯანოევმა არ აიყვანა იგი და ჩაკეტა თამაში მეფის ფრთაზე. გაფრინდაშვილის ინიციატივა ჩაიფერფლა. ჯანოევმა გადააჯგუფა ფიგურები და თვითონ წამოიწყო შემტევი ოპერაციები ლაზიერის ფრთაზე. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა გაანეიტრალა მუქარები. 32-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ცაიტნოტის ბრალია, რომ მაყურებელმა ვერ იხილა ბუხლაევ-ჩიქოვანის საინტერესო პარტიის ლოგიკური შედეგი. მეტოქეებმა რთული ამოცანების გადაჭრაში თითქმის მთელი დრო დახარჯეს და მწვავე ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. მათ ბედის გამოცდას ყაიმზე შეთანხმება ამჯობინეს.

ენერგიულად წარმართა თამაში ლომაიამ ვეტოხინთან, რომელიც ჰოლანდიური დაცვით დაიწყო. ვეტოხინი გაერთო ბრძოლით და ცენტრში დატოვა თავისი გვირგვინოსანი, რომელმაც მაგნიტივით მოზიდა ლომაიას ფიგურები. 26-ე სვლაზე ვეტოხინი დანებდა. 40-ზე მეტი სვლა გააკეთეს მეზობლებმა — ქუთაისელმა გიორგაძემ და წყალტუბოელმა ბერაძემ, სანამ ყაიმზე შეთანხმდებოდნენ.

სამი პარტია გადაიდო.

5 მარტს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად ბლაგიძემ თავი სცნო დამარცხებულად ჯინჯიხაშვილთან. არც თხელიძე-ვეტოხინის პარტიაში განახლებულა ბრძოლა. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გურგენიძემ იოლად მიიყვანა გამარჯვებამდე პარტია კირვალიძესთან, არნშტეინთან მისი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

კალატოზიშვილმა გაიმარჯვა იზვოზჩიკოვთან. ლომაიასა და ბლაგიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. შიშოვს ზედმეტი ხარისხი ჰქონდა ჩიქოვანთან, მაგრამ მოგებაზე თამაში დიდ სიზუსტეს მოითხოვდა. შიშოვმა მონახა პოზიციის გადაწყვეტის გონებამახვილური გზა და გაიმარჯვა. გაფრინდაშვილ-კიკიანის გადადებული პარტიის დამთავრება არ შედგა.

VIII ტურის შემდეგ წინაა ბ. გურგენიძე, რომელსაც 7,5 ქულა აქვს.

დღეს, 6 მარტს, შედგება IX ტური.

მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატი“

(დასასრული)

მთელი საჭიდაო სამყარო, მცირედი გამონაკლისის გარდა (არ იქნებიან შეერთებული შტატების, ერაყისა და პაკისტანის მოჭიდავეები). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაყურებელს საშუალება ექნება თავისი თვალით ნახოს მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი ფალავანი.

თბილისის საერთაშორისო ტურნირს მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით აქვს ერთი უპირატესობა. მსოფლიო პირველობაში უმეტესად მონაწილეობენ არათანაბარი ძალის სპორტსმენები, რადგან ქვეყნების რაოდენობა იქ გაცილებით მეტია. ამიტომ ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრებს, როგორც წესი, არ აქვს მაინცდამაინც დიდი ინტერესი. ძლიერები თანდათანობით ცხრილავენ სუსტებს და ნამდვილი ბრძოლები (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მხოლოდ ფინალებიდან იწყება.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის სტრუქტურა უფრო დახვეწილი და ეკონომიურია. აქ შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნები მხოლოდ უძლიერეს მოჭიდავეებს აგზავნიან (გუნდური ჩათვლა, როგორც წესი, ასეთ შეჯიბრებაში არ ხდება). ასე რომ, პირველ წრესა და ფინალურ ბრძოლებს შორის არავითარი განსხვავება არ იქნება.

როგორი შემადგენლობით ჩამოვლენ თბილისში ტურნირში მონაწილე ქვეყნები?

ბულგარეთი აგზავნის 6 მოჭიდავეს, რომელთა შორის უძლიერესი, რა თქმა უნდა, მძიმე წონის წარმომადგენელი ახმედოვია. ეს უდიდესი ფიზიკური ძალისა და დახვეწილი ტექნიკის მქონე სპორტსმენი 1958 წელს მსოფლიო თასის მფლობელი იყო, ხოლო 1959 წელს—მსოფლიო ჩემპიონი. მსუბუქ წონაში ბულგარელთა ღირსებას დაიცავს ტოლიდოს მსოფლიო პირველობის ჩემპიონი ვილჩევი, რომელმაც 1962 წელს „ხელიდან გამოგლიჯა“ ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ჯლამაძეს. ამათ გარდა ტურნირში გამოვლენ დიმიტროვი (უმჩატესი წონა), კოლევი (ქვემსუბუქი წონა), მუსტაფა (საშუალო წონა).

იაპონიის მოჭიდავეთა შორის პირველ ნომრად გადის მსოფლიოს ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში ვატანაბე. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იქნება მისი ბრძოლა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ რუბაშვილთან (მეტოქეები ერთმანეთს არ შეხვედრიან). თბილისელი მაყურებლები იხილავენ სხვა იაპონელ მოჭიდავეებსაც— მსოფლიო ჩემპიონატების და ოლიმპიური თამაშების პრიზიორებს ხარადას (უმჩატესი წონა), ხატას (მჩატე წონა), ხალიჩის ვეტერანს აბეს (მსუბუქი წონა). სათადარიგოთა რიგებში იქნებიან იმაიძუმი და სატო — საერთაშორისო კლასის მოჭიდავეები.

თურქეთს ტურნირში მონაწილეობა განზრახული აქვს 3 სპორტსმენით. რა თქმა უნდა, აქ ყურადღების ცენტრში იქნება დაუბერებელი ჰუსეინ აკბასი — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი. პირველი ადგილისათვის იბრძოლებენ რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი საშუალო წონაში გუნგორი და მსოფლიო თასის მფლობელი ოგანი.

განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა ჩამოჰყავს ჩვენს დედაქალაქში **ირანს**. იგი თბილისის მაყურებელს წარუდგება მსოფლიოს ხუთი ჩემპიონით—სეიფური (მჩატე წონა), სანატკარანი (მსუბუქი წონა), ხაბიბი (ქვესაშუალო წონა), მეხტი-ზადე (საშუალო წონა) და ტახტი (ქვემძიმე წონა).

თავიანთ საუკეთესო მოჭიდავეებს გამოაგზავნიან საერთაშორისო ტურნირზე შვეცია, ფინეთი, რუმინეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ვინ დაიცავს საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას ამ ტურნირში? (ფრჩხილებში მოყვანილი არიან მათი სავარაუდო მეტოქეები სხვადასხვა ქვეყნებიდან).

უმჩატესი და მჩატე წონა — ალიევი, ლიტვინი, შეყრილაძე, მჭედლიშვილი, იბრაგიმოვი (დიმიტროვი, ხარადა, ხატა, აკბასი, სეიფური).

ქვემსუბუქი წონა — რუბაშვილი, ხოხაშვილი (ვატანაბე, კოლევი, ფინელი იასკარი).

მსუბუქი წონა — ბერიაშვილი, ჯლამაძე, სინიავსკი (აბე, ვილჩევი, სანატკარანი).

ქვესაშუალო წონა — სალარაძე, ბეკმურზოვი, ლეტუნი (ოგანი, დერმენჯიევი, ხაბიბი).

საშუალო წონა — ალბული, გურევიჩი, ლომიძე (გუნგორი, მეხტი-ზადე).

ქვემძიმე წონა — აიხანოვი, გოგიბედაშვილი (მუსტაფა, ტახტი).

მძიმე წონა — მედვედი, ივანიცკი, კიკნაძე (ახმედოვი).

ეჭვს გარეშეა, რომ მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატი“ ჩვენი სპორტული კალენდრის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იქნება.

ვ. კუხიანიძე,
სახელმწიფო მწვრთნელი ჭიდაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1963
СПАРТАКИАДА ПРОФСОЮЗОВ
СССР

ლიდერობს ლ. სკობლიკოვა

პროფკავშირთა ზამთრის V სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში — ციგურებით რბენაში ჩაებნენ ქალები. როგორც ცნობილია, კარუიძავაში (იაპონია) დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ტრიუმფით დაბრუნებული ქალთა გუნდი თითქმის მთლიანი შემადგენლობით ჩავიდა ჩელიაბინსკში სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად.

მსოფლიო ჩემპიონმა ლ. სკობლიკოვამ პირველსავე დღეს მიაღწია წარმატებას. მან პირველი ადგილი დაიკავა 1500-მეტრიან დისტანციაზე, მეოთხე — 500 მეტრზე და ორჭიდის ჯამში სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას.

500 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა თ. რილოვამ. მისი შედეგია 47 წამი. 1500 მეტრზე ლ. სკობლიკოვამ აჩვენა 2 წუთი და 30,2 წამი.

* * *

ზლატოუსტში გრძელდება პროფკავშირთა ზამთრის V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სათხილამურო რბენებში. ქალთა 5-კილომეტრიან დისტანციაზე ძირითად კონკურენტებთან შედარებით სტარტიდან ადრე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი მ. გუსაკოვა. მან ამჯერადაც კარგი მომზადება გამოავლინა, აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი — 17.36 და მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ნ. ტერიუხინა და სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ბარანოვა.

პირველი საკონტროლო

გუშინ ლესელიძეში, სადაც საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, ჩატარდა 1 საკონტროლო მატჩი. დინამოელთა მეტოქე იყო ალმა-ატის „კაირატი“. პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ. თამაშის მეორე ნახევარში თბილისელთა თავდამსხმელმა ვ. ბარქაიამ გაიტანა 2 ბურთი.

მატჩის ანგარიშია 2:0 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ.

საერთაშორისო ტრასაზე

ლახტში დაიწყო მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება 13 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით. წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა ქალებმა. 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა ა. კოლჩინა, რომელმაც აღნიშნული მანძილი განვლო 37.52,6-ში. ორჭიდელთა პროგრამის პირველ სახეობას 15 კმ რბენა შეადგენდა. აქ ყველაზე კარგი მაჩვენებელი (59.07) ჰქონდა საბჭოთა სპორტსმენს ვ. დრიაგინს.

მეორე დღეს გაიმართა ტრამპლინიდან ხტომები, რის შედეგადაც დაწინაურდა ი. სიმონოვი, მან ორჭიდში მოაგროვა 476,59 ქულა. ვ. დრიაგინი დარჩა მეორე ადგილზე. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა მოთხილამურე ვაჟები 50 კმ-ზე. საუკეთესოებმა ი. სლიადნევმა და ვ. გიზატულინმა XV-XVI ადგილები დაიკავეს.

ტრამპლინიდან ხტომაში საბჭოთა სპორტსმენებმა ვ. პალჩევსკიმ და კ. წაქაძემ შესაბამისად მე-11 და მე-13 ადგილები დაისაკუთრეს. აქ უძლიერესი იყო ფინელი კ. კიარკინენი.

სურათზე: ცხაკაიას შვიდწლიანი სკოლის ნორჩი სპორტსმენები თავიანთ მწვრთნელთან, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელთან ვ. ეჭიმიასთან საუბრობენ ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო გ. ჭაუელისა.

რსფსრ — ფინეთი

ფინეთში სტუმრად იმყოფებიან რსფსრ-ს ტანმოვარჯიშეები. მათ ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს ფინელ სპორტსმენებთან. გამარჯვება წილად ხვდათ სტუმრებს — 282,6 : 280,3.

პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო საბჭოთა სპორტსმენი ლ. ლისიცკი. მან ნებისმიერ პროგრამაში დააგროვა 57,4 ქულა. ლ. ლისიცკის 0,4 ქულით ჩამორჩა ფინელი ო. კესტოლი. მესამე კვლავ საბჭოთა სპორტსმენი ვ. ზაიცევი იყო — 56,3.

„არაჯანსაღი ატმოსფერო"

ასეთი სიტყვებით აღნიშნავს პოლონური გაზეთის „სპორტის" მიმომხილველი იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ზოგიერთ ქვეყანაში მაყურებლები იმდენად შოვინისტურად არიან განწყობილი, რომ იქ თამაში ნამდვილ ომს უდრის.

როცა საფრანგეთის ჩემპიონმა „რეიმსმა" პირველი მატჩი წააგო „აუსტრიასთან" ვენაში (2:3), მატჩი რევანში ჩატარდა პარიზში, ვინაიდან ქ. რეიმსის სტადიონი ძალზე პატარაა.

პარიზელმა მაყურებლებმა ნამდვილი ტერორი მოუწყეს ავსტრიელ ფეხბურთელებს და ტრიბუნებიდან სეტყვასავით წამოვიდა მინდორზე ბოთლები, ქვები, ლითონის საგნები. ავსტრიელ ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ: რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო თამაში. ეს ახალი ამბავი როდია პარიზში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ვენაშია უკეთესად საქმე. შარშან აქ „რაპიდი" ეთამაშებოდა პორტუგალიის „ბენფიკას". მაყურებლები მინდორზე გადავიდნენ და სტუმრების ცემა მოინდომეს. „ბენფიკას" მოთამაშეებს შავი დღე დაადგებოდათ, პოლიციელებს რომ არ ემარჯვათ და მასირებული კონტრშეტევით მოედნიდან არ გაეძევებინათ ყოველგვარ საზღვარს გადასული ფანატიკოსი მაყურებლები. შემდგომში არც ლისაბონელი მაყურებლები დარჩნენ ვალში და „რაპიდის" ფეხბურთელებს საპასუხო მატჩის შემდეგ ცემით გაუსწორდნენ.

როგორც გაზეთის მიმომხილველი შენიშნავს, პოლონეთის ჩემპიონ „პოლონიას" (ბიტომი) ერთობ მტრული შეხვედრა მოუწყეს საბერძნეთსა და თურქეთში. ამიტომ ფეხბურთელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ორი ნამდვილი ბრძოლა გადაიტანეს და შინ დაბრუნდნენ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე თამაში გადაუჭრელ პრობლემად იქცა. სწორედ ამიტომ გუნდები დიდად კმაყოფილი არიან, თუ შეძლებენ გასვლით თამაშში ერთი ქულის აღებას, ან მცირე ანგარიშით წაგებას. ევროპის ქვეყნების ასოციაციათა კავშირში პროტესტი პროტესტზე შედის, მაგრამ იგი უძლურია რამე იღონოს.

თუ სურათს დავხედავთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი გადაღებულია შორეულ ჩრდილოეთში — „მუდმივი" თოვლის სამყაროში, სადაც სანიჩბოსნო სპორტის მოყვარულებს ხშირად ამგვარ პირობებში უხდებათ წვრთნის ჩატარება, სინამდვილეში სურათი მოგვითხრობს მოსკოველი ნიჩბოსნების, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონების ა. გრიშინისა და ა. დიხნოვის ვარჯიშზე. ისინი დედაქალაქში ზამთრის დღეებშიც ხშირად გამოდიან მდინარე მოსკოვზე.

სურათზე: მწვრთნელი ა. ანტოშინი ნიჩბოსნებს ა. გრიშინსა და ა. დიხნოვს აძლევს მითითებას.

ფოტო ვ. ტუტოვისა

საზღვარგარეთის ამბები

პირველობა უნგრელი ჟურნალისტის თვალით

ახლა, როდესაც უნგრეთის ფეხბურთის მოედნები თოვლით არის დაფარული, სპორტული პრესა „პაუზას ავსებს" ჩემპიონატის პირველი წრის დაწვრილებითი ანალიზით. გუნდები ძირითადად საზღვარგარეთ იმყოფებიან ან ემზადებიან გადამწყვეტი შეხვედრებისათვის, რომელიც ორიოდე კვირის შემდეგ უნდა დაიწყოს.

მიმომხილველი პალ ფეკეტე ჩემპიონატისათვის დამახასიათებლად თვლის მიდრეკილებას დაცვითი თამაშებისაკენ, რაც საერთო ევროპული მოვლენაა. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ გათამაშების ცხრილს სათავეში უდგანან არა ის გუნდები, რომლებიც სათამაშოდ იმ მიზნით გამოდიან, რომ „როგორმე გოლი არ გაუშვან", არამედ შეტევითი სტილით მოთამაშე კოლექტივები.

პირველ წრეში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ჰონვედის" თამაშმა. ეს პოპულარული გუნდი უნგრელებს უკვე კარგახანია, აღარ უნახავთ სატურნირო ცხრილის სათავეში. ახლა „ჰონვედი" პირველ ადგილზეა 19 ქულით, 13 თამაშიდან, ბურთების შეფარდება — 36:17. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ამავე გუნდისა და ეროვნული ნაკრების ცნობილი ცენტრალური მცველი დიულა ლორანტი, რომელიც თავის დროზე მსოფლიოში უძლიერესად ითვლებოდა. ლორანტმა ჩამოაყალიბა მოიერიშე ანსამბლი, რომლის „მთავარი დამკვრელი ძალაა" ლაიოშ ტიხი (№ 9), „დირიჟორის" ფუნქციებს კი საუცხოოდ ანხორციელებს იოჟეფ ბოჟიკი. „ჰონვედის" დანარჩენი მოთამაშეები ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები არიან.

თითქმის მთელი პირველი წრის მანძილზე ლიდერობდა „დოჟა" (უიპეშტი), მაგრამ ბოლო მატჩებში თავი იჩინა მოთამაშეების არასაკმაო ფიზიკურმა მომზადებამ. ახალი მწვრთნელი იმრე კოვაჩი ჩაუდგა სათავეში ბუდაპეშტის მტკ-ს, რომელმაც სუსტი სტარტი აიღო, მით უმეტეს, რომ დიდხანს არ თამაშობდა შანდორი (№ 7). მაგრამ ამ არასახარბიელო ვითარებაში კარგი ღირსება გამოამჟღავნეს მტკ-ს ახალგაზრდა მოთამაშეებმა. ახლა მტკ-ს მესამე ადგილი უკავია 17 ქულით. იგი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება „დოჟას" (უიპეშტი).

მეოთხე ადგილზეა უძლიერესი პროვინციული კლუბი „სეგედი" (16 ქულა). დიდად მოულოდნელია „დიერის" მეხუთე ადგილი (15 ქულა). აქამდე ამ გუნდს აინუნშიც არავინ აგდებდა, მაგრამ წელს „დიერს" სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი ცენტრფორვარდი ფერენც სუსა. სუსა მეტად ნიჭიერი მწვრთნელი გამოდგა და „დიერის" თამაშს თავისებური ხასიათი მისცა. ახლა „დიერი" ძველებურად ძალისმიერ თამაშზე კი არ იღებს აქცენტს, არამედ ტაქტიკურად კარგად გააზრებულ და ტექნიკურ თამაშზე.

უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, ბუდაპეშტის „ფერენცვაროშისათვის" მეექვსე ადგილი ფრიად უფერული შედეგია. აქ დიდი როლი ითამაშა ალბერტის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ.

ფეკეტე სუსტად მიიჩნევს უნგრელთა თამაშს საერთაშორისო შეჯიბრებებში — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, „ბაზრობათა თასზე", „რაპასის თასსა" და შუა ევროპის თასზე. ახლა მხოლოდ „ფერენცვაროში" განაგრძობს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობას.

გაუთვალისწინებელი ინციდენტი

გეტებორგში შვეციის ნაკრები გუნდისა და „ტრეილ სმოუკს იტერსის" გუნდების შეხვედრაში გაუთვალისწინებელი ინციდენტი მოხდა. ერთ-ერთი შეტევა ჩხუბში გადაიზარდა. მაყურებლები რა თქმა უნდა, თანამემამულეებს მიემხრნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ბოთლით თავიდან შლიაპა მოხადა კანადელ მწვრთნელს ბ. კრომს. ამან გამოიწვია სტუმრების აღშფოთება და იგი თამაშის ბოლომდე არ დამცხრალა. გაიმარჯვეს კანადელებმა — 5:2. მაგრამ მათ „დაჰკარგეს" ოთხი მოთამაშე, რომლებიც თამაშის ბოლომდე გაძევებული იქნენ მოედნიდან.

რედაქტორი ი. უგულავა.

1928 წლის 15 თებერვალს სენ-მორიცის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (იგი რიგით II იყო) ციგურებით ფიგურულ სრიალში ქალთა შორის სენსაციური გამარჯვება მოიპოვა სპორტული სამყაროსათვის უცნობმა ახალგაზრდა ნორვეგიელმა სონია ხენიმ. მოულოდნელი ამ წარმატებაში ორი რამ იყო — ის, რომ ახალგაზრდა ხენიმ მოიპოვა ოქროს მედალი და შემდეგ თვითონ შედეგი. ნორვეგიელმა 29,0 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გამოსული ცნობილი ავსტრიელი მოციგურე ფრიტცი ბურგერი.

ლეიკ-პლესიდის მესამე ოლიმპიურ თამაშებზე სონია ხენი უკვე გამარჯვების მთავარი ფავორიტი იყო. და მან არ გაუმტყუნა იმედები სპეციალისტებს. ნორვეგიელი მოციგურე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და თავის პირველ ოლიმპიურ ოქროს მედალს მეორეც მიუმატა. ავსტრიელი ფ. ბურგერი ამჯერადაც მეორე იყო.

მესამე ოქროს მედალი სონია ხენიმ მოიპოვა 1936 წელს გარმიშ-პარტენკირხენში. ამის შემდეგ სახელოვანმა ნორვეგიელმა დაანება თავი სპორტს და კინომსახიობობას მიჰყო ხელი.

საბჭოთა მაყურებელი კარგად იცნობს ამერიკულ მუსიკალურ ფილმს „მზიური ველის სერენადას", რომელშიც სონია ხენი თამაშობს პატარა ნორვეგიელი გოგონას როლს. მაყურებელი მოხიბლული იყო მისი, როგორც მოთხილამურის და მოციგურის მაღალი ოსტატობით.

მოგვიანებით სონია ხენიმ კინოხელოვნებასაც მიანება თავი. იგი ამჟამად ცხოვრობს პარიზში და იმპრესიონისტ მხატვართა მანეკენის სამარცხვინო როლში გამოდის. ამას წინათ საფრანგეთის ერთ-ერთ სამხატვრო გალერეაში მოეწყო სონია ხენის პოზირებათა გამოფენა.

იყო დრო, როდესაც სონია ხენის სახელს აღტაცებაში მოჰყავდა მილიონობით სპორტის მოყვარული. ჩვენის აზრით, მაშინდელი ოლიმპიური ჩემპიონი უფრო ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დღევანდელი სონია ხენი — თავგზააბნეულ იმპრესიონისტ მხატვართა მანეკენი.

სხვადასხვა...

„ფსიქიური იერიში"

მსოფლიო ჩემპიონობის ახლახანგამომცხვარი პრეტენდენტი მძიმე წონის პროფესიონალურ მოკრივეთა შორის, 20 წლის კასიუს კლეი, ეტყობა თავისი მენაჯერის რჩევით, განაგრძობს თავისებურ „ფსიქიურ იერიშს" მსოფლიო ჩემპიონ სონი ლისტონზე. თავისი ხანმოკლე კარიერის მანძილზე კლეიმ უკვე მოასწრო უამრავი ინტერვიუს მიცემა, რომელთა საერთო მიზანი ერთია: მომავალი მეტოქეების მოთმინებიდან გამოყვანა.

აი რა განუცხადა ამ ცოტა ხნის წინ კლეიმ ჟურნალისტებს: „სონი ლისტონს რინგზე „დავფშვნი". იგი მეტად ნელა მოძრაობს, მე კი ელვასავით სწრაფი ვარ".

როდესაც სონი ლისტონს ეს სიტყვები გადასცეს, იგი მართლაც გამოვიდა მოთმინებიდან. „თუ ასეთი სიტყვების შემდეგ კლეი რინგზე გამოჩნდება ჩემს წინააღმდეგ, იგი იქიდან ველარ წამივა ცოცხალი. ხოლო თუ იგი ჩემთან შეხვედრას მოერიდება, ამ სიტყვებს მაინც არ შევარჩენ, მიწაშიც რომ ჩაძვრეს, იქიდანაც ამოვიყვან და მოვკლავ".

ვნახოთ, როგორ შეასრულებს დაპირებას ყოფილი ბანდიტი და ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი.

დღეს!

ჩოგბურთი

სპორტული დარბაზი
(პეტრიაშვილის ქ. № 7)
საერთაშორისო შეჯიბრება

მონაწილეობენ: დანიის, იუგოსლავიისა და საქართველოს სპორტსმენები.

დასაწყისი 19 საათზე.

7-8 მარტი

ვ. ი. ლენინის სახელობის
სპორტული დარბაზი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა–საქართველო.

დასაწყისი 19 საათზე.

10 მარტი

სპორტის სასახლე

შეხვედრა
ევროპის ჩემპიონთა თასზე
კალათბურთში

„დინამო" (თბილისი)—
„სიმენთალი" (მილანი)

დასაწყისი 20 საათზე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. ღეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00973